ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2018 წლის 7 თებერვალი

ქ. ცაგერი

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის №3 დადგენილებაში (www. matsne.gov.ge, 06/02/2017წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.116.016322) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

„4. განისაზღვროს ფიზიკური პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 0,5 ლარი თვეში. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად დასახლებული ტერიტორიის დაწესებულ მოსაკრებელზე სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გუგავა**